

მეცემსი

№ 5

№ 5

1883—1906

15 მარტი.

რა მდგომარეობაშია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმე?

ასე გვეკითხებიან საქართველოს ყოველი კუთხიდან სხვა-და-სხვა პირები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან სარწმუნოების საქმით. ქართველი, რომლის გულშიაც ჯერეთ სრულებით არ გამჭრალა სარწმუნოების გრძობა და ქრისტიანული ზნეობა, რასაკვირველია, იკითხავს თუ რა მდგომარეობაშია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობის შემოღების საქმე. ჩვენი ორგანოს მკითხველები საკმაოდ უნდა იყვნენ ვაცნობილნი აღნიშნულ საქმის მდგომარეობას. იცის ყველამ, რომ პეტერბურგში იყვნენ მიწვეულნი ამ კითხვის გამო უ-დ სამღვდლონი კირიონი ორლოვიდან და ლეონიდი—ქუთაისიდან. იციან ისიც, რომ უწმიდეს სინოდში იყო შესჯელობა ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, რომ ზოგიერთი პირები ამტკიცებდნენ კიკილე ტურმე, რომ საქართველოს ეკლესიას არასოდეს არ მქონიდა მინიჭებული ავტოკეფალია. ბეჭდვითი სიტყვამ, მენიჭებმა და თვით ჩვენმა ეპისკოპოსებმა აშკარად დამტკიცეს, რომ საქართველოს ეკლესია მოციქულების კანონებისამებრ იყო ავტოკეფალური და არც ერთ უცხო ეკლესიას არ ყავდა იგი დამონებული. მაგრამ ძლიერ ძნელია დაუმტკიცო კაცს ის რაც მას არა სწამს და რისაც ცნობა არ უნდა. თუმცა ამ ფაქტების შემდეგ, რაც მოყვანილი იყო საქართველოს ავტოკეფალიის შესახებ, საეპო აღარ იყო, რომ სინოდი იცნობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას და გარდასწყვეტდა, მაგრამ საქმის გარდაწყვეტა მინც შეჩერდა სანამ ამ კითხვის შესახებ ამესტინიკისაგან არ იქნება წარდგენილი თავისი აზრი.

როგორც გავიგეთ მათი ბრწყინვალემა პეტერბურგში იქნება მიწვეული ამ ცოტა ხანში. მიუცილებლად საქროა დებუტაცია წარსდგეს მათი ბრწყინვალეების წინაშე როგორც საერო ისე სასულიერო წოდებისაგან და სთხოვოს მათ ბრწყინვალეებს, რომ არ დაინაგროს ქართველები იმისათვის, რომ იგინი მართლმადიდებელნი არიან, სთხოვოს, რომ მათ მიენიჭოს ის უფლებანი რაც აქვს მინიჭებული სომხებს, ფრანგებს და სხვა ქრისტიანთაც.

მათმა ბრწყინვალეებამ ამას წინეთ ჩვენ დებუტატებს გამოუცხადა: „ჩემ არ შემეხება ამ კითხვის გარდაწყვეტა და თუ მკითხეს მე სასარგებლოდ ქართველთა ეკლესიისათვის ვიტყვიო“. აი სწორეთ ეხლა დაღდა ეს დრო, როცა მათი ბრწყინვალეების აზრისამებრ გარდასწყვეტა ეს საქმე სასარგებლოდ ეკლესიისა; თუ ეხლა არ მიენიჭა მას ავტოკეფალია მაშინ საქართველოს ეკლესია სამუდამოდ უნდა დარჩეს ობლად...

ბევრია ხელის შემშლელი დღეს თფილისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა. ბევრს ამ მოწინააღმდეგეთა არც კი ესმით სრულებით თუ რა არის ეკლესიის ავტოკეფალია. ბევრს ჰგონია, რომ ავტოკეფალია ერთი სახელმწიფოს ორ სახელმწიფოდ გაყოფა იყოს!.. ზოგიერთებს კერძო ინტერესები აქვსთ სახეში და ამისათვის ექსარხოლობის მოშლა მათ დიდ უმბედურებად მიიჩნიან, წარმოიდგინეთ, ძველ დროში, ძლიერ იზვიითი საქმე იყო რომ მითროპოლიტობა საქართ. ექსარხოებს შეხვედროდათ. უკანასკნელ დროს კი მითროპოლიტებად მხოლოდ ექსარხოები ინიშნებოდნენ. 1892 წელში ყველა მითროპოლიტები უწმიდესი სინოდისა ექსარხოსად ნამოყვები იყვნენ. ისინი რომ ექსარხოებად არ ყოფილიყვნენ; ვგონებ, მათ



რუსეთში არც ერთს არ შეხედებოდა მიტროპოლიტობა. ეს გარემოება ძლიერ აბრკოლებდა და აბრკოლებს დღესაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას...

ამისთანა და სხვა დამამბროკოლებელი მიზნებით კარგად უნდა განუმარტოს მათ ბრწყინვალეობას დებუტატებმა და სთხოვეს, რომ საქართველოს ეკლესიის, სამღვდლოების და საზოგადოების საუკუნო მოსაგონებელი დაუტევოს მათი ბრწყინვალეობის სამსახური კავკასიაში. კარგად უნდა განუმარტოს დებუტაციამ მათ ბრწყინვალეობას, რომ საქართველოს ეკლესიის ხსნა შეუძლია მხოლოდ მოციქულების და მსოფლიო კრებათა კანონების თანახმად მმართველ-გამგებობის აღდგენას და არა ბიუროკრატიულ წეს-წყობილებას. დაწვლილებით უნდა განუმარტოს მათ ბრწყინვალეობას, რომ დატოვება საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგებობისა ძველებურად, შემდეგ 17 ოქტომბრის მანიფესტისა მედის-მეტად საშიშო არის. უნდა იცოდეს ყველამ, რომ დატოვება ეკლესიის ძველი წეს-წყობილებისა, 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, არა მართო საქართველოს ეკლესიისათვის, არამედ რუსეთის ეკლესიისთვისაც ფრიად საშიშოა. ამიტომაც არის, რომ რუსეთში შეგნებულმა სამღვდლოებამ და მღვდელთმთავრებმა ხნა აღიმაღლეს და ითხოვეს ეკლესიის მართვა-გამგებობის საქმის მოწყობას მოციქულებისა და მსოფლიო კრებათა კანონების თანახმად.

ქართველების მტრები გაზეთების საშუალებით ავრცელებენ ხმებს, რომ ქართველებს და უმეტეს ნაწილს სამღვდლოებისას არა სურსთ ავტოკეფალიობა. უნდა დაუშუქიკოს საზოგადოებამ მათ, რომ ეს ცილის წამაბა არის და სთხოვეს ყველა შეგნებულ რუსებს, ერთმორწმუნე უფროს ძმებს, მფარველობა გაუწიონ თავიანთი ჟურკოს ძმებს, რომელთაც ხელი გაუშვერიათ ავტო ასი წლის განმავლობაში და მფარველობას ითხოვენ. უნდა იცოდეს ყველამ, რომ თუ ეს უნცროსი ძმები მოძულეებულნი და დაჩაგრულნი შეიქმნენ სხვა ქარსტიან აღმსარებლებთან შედარებით, მაშინ ქართველობას მეტი საშუალება აღარ დარჩენია—წაბაძოს იმ ბედნიერ ხალხთა, რომელთაც სარწმუნოების საქმეში უფრო ბევრი აქვსთ დათმობილი და რომელთაც უფრო მეტის პატივისცემით ეპყრობიან ვინემ ქართველებს.

დქ. დ. დამაშაიქ.

მადლობა ღმერთს, ქლის ვაიღისით!

თითქმის უკანასკნელ სამღვდლოების კრებებზე მოხუჯიროდ აღძვართ კითხვა იმის შესახებ, რომ ჯამაგირები გამოუკლებლად მიეცათ სამღვდლოებისათვის, მაგრამ დებუტატების უმრავლესობა, გატაცებული სხვა-და-სხვა უმნიშვნელო კითხვის-გამოთვიანთ მჭერმეტყველობით არ აქცევდა ამ კითხვას ყურადღებას. ერთ კრებაზე გადასწყვიტეს დებუტატებმა, რომ ეკლესიებიდან არავითარი ხარჯი არ მოთხოვნილიყო სასწავლებლების შესანახავად და კლასებიც დახურა. გაიხედეთ და შევიტყვეთ, რომ ამ ეკლესიის გადსახადები სამღვდლოების ჯამაგირებიდან გამოირიცხეს. შავირდებმა სასწავლებლები მიატოვეს. ეს მასწავლებლებისათვის დიდი საწყენიც არ იყო, ისინი თავისთვის ისხდნენ და ჯამაგირებს უკლებლად იღებდნენ. რომ მოვიდოდნენ ზოგიერთი მოსწავლეები, მასწავლებლები უკანვე დაბრუნებას ურჩევდნენ ვითომ ახალი პროგრამის მოსვლამდე. გამოყვეს თავი ბნელის ქვეყნის პირმა და სამღვდლოების ფულების ჩუქებაზე დაუწყეს ქადაგება დებუტატებს. «მისცეთ საჩუქარი, ბრძანებდნენ ზოგიერთები, თქვენ ჯიბეს ხომ არაფერი მოაკლდებაო. დეკ. დამაშაიქის არა დაუჯეროთ რამეთუ». არ დაუჯეროს მართლა მისი სიტყვა და ეხლა ხუთასი მანიფე აკლდება იმ ფულებს, რომელიც სამღვდლოებამ უკრადღება უკან, რადგან პანსიონის აშენება არ ხერხდება. ბლ. მლ. ერმალოზ კანდილაკს არ აქვს წარმოდგენილი ათას მანიფამდე და იმის მაგიერ სასწავლებელში სამღვდლოების ფულები უხარჯავთ. წავიდენ დებუტატები და მოსთხოვეს ეხლა კანდილაკს ეს ფულები!

როგორც იქნა უკანასკნელ კრებაზე მიაქცია სამღვდლოებამ ყურადღება და მოითხოვა ჯამაგირის მიღება მთლად გამოურიცხავად. იმერეთის ეპისკოპოსმა დღეს სათითვეულოდ კრებულს გაუხსნა კრედიტი ხაზინებიდან და ამიერიდან ყველა მღვდელი და მეღვინეთნ სრულიად მიიღებენ ჯამაგირებს საპნსიო ორი პროცენტის გამოირიცხვით. მადლობა ღმერთს ამ ბოლოს მაინც ვეღირსეთ! მე ვკონგრაულდებლობო ამის შემდეგ ყველას მოესპობა ხელის ფათური სამღვდლოების ფულების პარკში. ამის შემდეგ ბლაღონინებსაც აეხდება პოლიციის ბოკაულის უფ-

ლება ფულების ძალით გარდახდევინების საქმეში. საქირია ფულები? ჰკითხეთ მიღვლემს, მრევლს, განსაჯეთ კარგად და რასაც მოგცემენ იხმარეთ. არ გაღიხდის ერთმანეთს კანდელაკი? არც სხვა გაღიხდის! ბობოლა პირების მეგობრობა ვერას უშველის მაშინ ჩვენს ერთმანეთს. ზოგიერთ ბატონებს უნდათ საჩუქრებით მოიმალიერონ სხვა-და-სხვა პირები, მაგრამ ავიწყდებათ. რომ საჩუქრებით მომადლიერება შეიძლება თავის საკუთარს ჯიბის ფულით და არა სამღვდლოების ჯიბის ფულით. ერთმანეთს კანდელაკს ეს სიტყვები ძლიერ ეწყინება და დაგვიწყებს საყვედურს, თუ რას დავიძებნა ჩვენ სამღვდლოების ჯიბის ფულების დაცვას. მაგრამ რა გაეწყობა, ჩვენ მაინც არ გაეჩუმდებით და ვიტყვით, რომ სამღვდლოების დიდი ფულია გაფლანგული უადგილო საჩუქრებით უმართლო პატივებით...

კრედიტი უკვე გახსნილია და ყველა კრებულს შეუძლია მივიდეს თვის ბოლოს და მიიღოს სრულად დანიშნული ჯამაგირი. „მწყემსის“ რედაქციის სტამბაში დამზადებულია ჯამაგირის მისაღები ქაღალდები, რომლითაც მისცემენ ჯამაგირებს დაუბრკოლებლად. ამ ბლანკების მიღება შეუძლიათ მსურველთა როგორც პირისპირ ისე ფოსტით.

სოფლის სუცესა.



ნამახტიანის სიტყვა.


ექვს მარტს, უკანასკნელი სხდომა იყო სასახლეში სომეხ-თათართა დელეგატებისა. სხდომაზე გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა შემდგენის სიტყვით მიმართა დელეგატებს:

„თქვენ სხდომებში ბევრს ისეთს კითხვებს შეებნეთ, რომელნიც, საბოლოოდ სავანს ვერ გადასწყვეტენ საამდროისო მოთხოვნების შესაფერად. როდესაც სახლი იწვივს, არ არის დრო მაშინ იმაზე ფიქრი თუ ხელახლა როგორი მასალი-სავან უნდა აშენდეს სახლი, რომ ცუცხლმა ვერა ავნოს-რა. მაშინ საქირია მხოლოდ გაეანია ცუცხლის ჩაქრობა. თქვენ ეს ცუცხლი ვერ ჩაქრეთ, თუმცა ცუცხლის გაჩენის მიზეზი ორივე მხარემ

კარგად იცის—უწესრიგოთ იქცევიან ერთის მხრით შეიარაღებული ორგანიზაციები ღ მეორისა ავახათა ბრძოლა.

ამგვარ უწესოებას მართებლობა ვერ შეიწყნარებს და შესაფერი ზომები მიღებულიც არის და შემდგომშიც მიიღებს. ხელმწიფეს ნებავე, რომ სომეხ-თათართა უთანხმოება მოისპოს და მოისპობა კიდევ. მოგმართავთ თქვენ, ბატონებო, იქონიეთ გავლენა თქვენს ხალხზე და გადაეცით იმათ ხელმწიფის სურვილი.

ზოგიერთი პრაქტიკული ზომები, რომელნიც თქვენ სხდომებში მოხსენებულ იქნა, ჩემგანაც მიღებულ იქნება, ზოგზე კი აი რას ვეტყვით: საყოველთაოთ იარაღის ახსნა, რომელზედაც ბ. ბატისოვი აქ ლაპარაკობდა, ჩემის აზრით შეუძლებელია. კლმის ერთის მოსმით, ვისაც ათასი წლოვით იარაღი უტარებია, იმას უცბათ ვერ ჩამოართმევ იარაღს... ყველას ამათ იარაღი თავის დასაცველად აქვსთ. მე თანახმა ვიქნები ყველას ავხსნა იარაღი, თუ კი ეს შესაძლებელი იქნება—დარწმუნებული კი მხოლოდ ამაში ვარ, რომ იარაღს მოგვცემენ მხოლოდ მშვიდი მტხოვრებენი და ვისაც კი ბოროტ-განზრახვებისთვის აქვსთ იარაღი—ისინი შეიძლებენ გადამაღვას, ამისთვის საერთოთ იარაღის ახსნას ვერ მოვახერხებთ, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია ყველა ორგანიზაციებს და ბოროტ-განზრახველთა იარაღი აეხადოს.—ფიქრობ, დადგება მალე ესეთი დრო, როდესაც ცივილიზაციის წყალობით იარაღის ტარება კავკასიაში არავის დასჭირდება. ვთავებ მით, რომ თქვენ აქ ყველას სურვილი გაქონდათ ზავით საქმის გათავებისა და გზოვით ეს თქვენი იმედები გადასცეთ თქვენ თქვენს რწმუნებულთ!!.



საქარაზისი თვითმფლობა

(წერილი რედაქციის მიმართ)

საქართველოს სამღვდლოების დელეგატთა კრებამ წასულ დეკემბერში შეიმუშავა ზრთაქტი საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისა. ამ ზრთაქტის გამოქვეყნება მიენდა აჩუქდ ზანთ, რომელთ შორის იყო დეკანოზა დ. დამასაძაძე. შემუშავებული ზრთაქტი მ. დამასაძეს და იმასთან ერთად სხვა რამდენსავე ზის უჩვე-

ნებათ ზოგიერთ ზატყავსნიც შირთათვის, რომელთაც ზოგიერთი დადგენილება სსმდგაღვათისა ჟუჟაში არ მოსვლიათ, როგორ შეიძლება ეგვლა შავისი გამოქვეყნება, რას იტყვის მთავრობა და სს., და უნჩვეათ ზრთქტირება გამორიგნათ ეს ვითომდა შეუფერებელი ადგილები. მართლაც მ. დამაშვიძე შესწორებულად დააკვდა თავის (მწვემსში). ამხანაურე კდმოთბეჭდა ზრთქტი «საქსარხოსო მასრებელში».

სსმდგაღვათის დეკლარატა ზრთქტირან გამორთვებულია შემდეგი ადგილები: 1. შიეცხო მდგაღვთ თავისუფლება დგათ მსსურების კარეუ ატარან ტანისმოსი სურფელისმებრ; 2. შიეცხო ჭერო მდგაღვთ ნება ცოდის შერთვის; 3. მდგლან სარანის მსურეფს ნუ დგაღვლან ცოდის შერთვა კურთხევაგამტ.

არ არის აგრეთვე დასტამბულ ზრთქტში მოხსენებული დეკლარატა უმცირესობის აზრი, რომ მდგაღვთებთ ქალებსც შეეძლოთ უოფნა და სხვა.

ჩვენ მის ძიებაში არ შეგდთ, რამდნად ამ დროულია ეს აღნიშული სკითხები: ეს დეკლარატემა ასწინდასწინეს და შეიტანეს ზრთქტში. ჩვენ ვაითხავთ: ჭქონდათ თუ არა ზრთქტის დამბეჭდავთ უფლება გამოქვეათ ის, რაც მათ უადგილოდ მაინჩიეს? ჩვენ ვფიქრობთ, — არა და კიდევ შეტსც ვიტყვით: ეს არის ახუნთ ადგება იმათი, ვინც ზრთქტი შეადგინა, და სხვა არაფერია. ვის მისცა ნება „მწვემსის“ და „Духовный Вестник“-ის რედაქტორებს სსმდგაღვათის დადგენილების კადკეთების? (ცნ. ფ.)

პ ა ს უ ხ ი.

აი მოვიყვანთ ჩვენს ორგანოში სიტყვა სიტყვით მამა ქ. ციციშვილის წერილი ჩვენს შესახებ დასტამბული „ცნობის ფურცელში“. მამა ქ. ციციშვილს ამისთანა წერილი უნდა გამოეგზავნა დასაბეჭდად და არა ისეთ გამოცემისთვის რომელშიაც ხშირად სამღვდლოება სრულებით უარყოფილია. სრულებით ტყუილს ბრძანებს, მამა ქ. ციციშვილი, რომ ჩვენ საპატოო პირებისთვის გვჭევენბინოს აღნიშული გეგმა და იმათი რჩევით გამოგვეტოვოს რამდენიმე ადგილი. ჩვენ სხვისი ჭკუით არასოდეს არ გვივლია და არც არავის ჩვენის უქუუობით და გამოუცდევლობით მათრახები არავის მოხვედრია. ჩვენთვის არავის არ დაუფალელებია აღნიშული გეგმის დაბეჭდა. ჩვენ დავბეჭდეთ გეგმა ჩვენს გამოცემაში ჩვენის ნებთ და არა

დღღვებების კრების დავალებით. გეგმა ჩვენ შეგვეწლო სხვა რამების გამოკლებითაც დაგვებეჭდა. არავის არ ჭქონდა უფლება დღღვებების ოქმების დაბეჭდვისა შემოკლებით და გამოკლებით. სრულმა საეკლესიო კრებამ (თუ ოდესმე ელირსა შეკრება) უნდა განიხილოს დღღვებებისაგან შედგენილი ოქმები და არა ზროექტი და ამ კრებამ უნდა და აჯანოროს კიდევ ივინი.

თუ ძლიერ ესახლება მამა ქ. ციციშვილს წერა ზოგიერთი მღვდლების განცხადების და სურვილის შესახებ იმის თაობაზე, რომ ერის კაცებით დაქვივების შემდეგ მღვდლებმაც მეორეთ და მესამეთ ცოლები შეირთონ, ან ჯერეთ უცოლომ კურთხევა მიიღოს და „კარვა დაქუიანების“ შემდეგ ცოლი შეირთონ (ეს მით უფრო კარგი იქნება, რომ დიდ მზითვეს აიღებენ!) ან შედაქონის ადგოლზე, ასე ოცი და ოცდახუთი წლის, ქალიშვილები დაინიშნონ, სრული უფლება აქვს სწეროს და მოუთხროს „ცნობის ფურცლის“ მკითხველებს. დარწმუნებული ვართ საერო ვაჭეთები სიამონებთ დაუბეჭდვენ ამისთანა ნაწერებს, შეიძლება გონორალიც მისცენ მ. ციციშვილს.

ჩვენ-კი უადგილოთ და სასირცხოთ მიგვანჩი. წერა იმაზე, რომ მჭირე მღვდლებს მეორეთ და მესამედ ცოლის თხოვის ნება მიეცეთ. გამოცხადებულია, რომ ყოველ მჭირე მღვდელს, რომელიც ქალის თხოვას მოისურვებს მეორეთ, ნება ეძლევა დასტოვოს მღვდლობა და სხვა შესაფერისი თანადებობის ადგილი მიიღოს. ჭერივი მღვდლები ამბობენ, სამსახურისთვის არ ვარგინაო. განა ის მღვდელი, რომელიც ცოლ-ქმრობის კავშირისათვის თუ ვარგა, თორემ სხვა თანამდებობას ვერ აასრულებს მღვდლობის დიდს მოვალეობას კი დასარულებს რიგა ნაღ? ამისთანა მღვდელი ცოლიანიც რომ იყოს დასათხოვია მრველის მღვდლობისაგან... მამა ქრის. ციციშვილს ერთ რამეს ურჩევთ: წაიკითხოთ გულდანმით და დაკვირვებით მღვდლად კურთხევის ღრამატა, რომლითაც ის გაისტუმრეს მრველში — ამ ღრამატაში წაიკითხავს ის თავის წერილის პასუხს. ამას მიტომ ურჩევთ მას, რომ, როგორც სწანს, ეს ღრამატა მას ჯერ არ წაუკითხავს, თუმცა კანონი ყველა მღვდელს ვალად უდგენს მის ხშირად კითხვას.

დკ. დ. დამაშვიძე.



ჩანი სამღვდლოების საქარადღობა.

დიდი ხანი არ არის, რაც პეტერბურგში გამოდის სამისიონერო საზოგადოების ყოველ დღიური ორგანო „კოლოკოლ“-ი. მაგრამ ამ მცირე ხანის განმავლობაშიც მან საკმაოდ გაითქვა სახელი თავის ხულოვანურ მიმართულებით. განსაკუთრებით ამ გაზეთს ათავალწუნებული ჰყავს მრავალ-ტანჯული ებრაელები და, სხვათა შორის ჩვენ — ქართველებიც.

გაზეთს მოსვენებას არ აძლევს ის გარემოება, რომ ქართველებმა, ამ ერთმა მუქა ხალხმა, გაბედეს და უზარმაზარს რუსეთის ეკლესიას ავტოკეფალობა მოსთხოვეს. ამ საკითხს აღნიშნულმა გაზეთმა უკვე რამდენიმე წერილი უძღვნა, ხოლო დღეს ერთ ახალ მეთაურსაც ვკითხულობთ.

ჩვენ აზრად არა გვაქვს, ქართულის გაზეთით პასუხი გავსცეთ (ამას ჩვენ სხვა გზით მოვხებრებთ); გვსურს მხოლოდ შემდეგს გარემოებას მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

მეთაურის ავტორი («კოლოკოლ» № 39) სცდილობს დაარწმუნოს რუსის საზოგადოება და ხინოლი, ვითომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა მთელის ქართველ სამღვდლოების მოთხოვნილება კი არ ყოფილიყოს, არამედ ერთი მუქა «სეპარატისტებისა», რომელთა მეთაურადაც მას მიიჩნია „ქუთაისის ეპისკოპოსი ლეონიდი“ და „სოხუმის მღვდელ მთავარი კირიონი“.


ნუ თუ ეს ცილის-წამება უყურადღებოდ უნდა დასტოვოს ჩვენმა სამღვდლოებამ, რომლის შესახებაც იგივე ავტორი ისე სიტყვას არ იტყვის, რომ «მეამბოხებები» («МАТЕЖИЛЕ») არ უწოდოს?!

ამას გარდა ავტორი გაძაპრით აცხადებს, ვითომ ხუთს ქართველ ეპისკოპოსს შორის (ალბად: კირიონი, ლეონიდი, გიორგი, პეტრე და ექვთიმე იგულისხმებინან, რადგან ამათგარდა საქსარახოსოს საზღვრებში კათედრა არც ერთ ქართველ ეპისკოპოსს არ უქირაეს); «ორი ყველასაგან ცნობილი იყოს, როგორც მტკიცე მოწინააღმდეგე საქართველოს ავტოკეფალობის პროექტისა».

მაგრამ როგორც ზემოდ დავინახეთ, ლეონიდა და კირიონის შესახებ იგივე ავტორი პირდაპირ ამბობს, რომ ისინი ავტოკეფალობის მომხრენი არიანო. დარჩა, მაშასადამე, სამი ქართველი ეპისკოპოსი: გიორგი, პეტრე და ექვთიმე...

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორს პასუხს გაცემენ ეს უკანასკნელი სამისიონერო გაზეთის თანამშრომელს იმ ცილის წამების გამო, რომელიც ზემოდ ამოწვერეთ.

უეჭველია მათს პასუხს დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა ექმნება როგორც სამწყსოსათვის, ისე იმ ორ ეპისკოპოსისათვის, რომელნიც ავტო თვე-ნახევარზე მეტია, პეტერბურგში იცავენ ბიუროკრატის წინაშე საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას. (ცნ. ფურ.)



მწარამ ფიქრები.

„ივრია“ დრო და დრო პრემიად წიგნებს უგზავნის თავის ხელის მომწერლებს. კეთილი და პატიოსანი. ამ წიგნებში რჩეული სტატეგები იბეჭდება სხვა-და-სხვა თარგმანები და ხანდახან ორგინალური ნაწერებიც. სხვათა შორის მე-4 პრემიაში მოთავსებულია ბ. ი. გომართელის ნაწერი „ქოხში“, «სცენები სოფლისცხოვრებიდან». ამ წიგნში ვკითხულობთ, ბ. ი. გომართელის წინასიტყვაობის მიჯერს, რომელიც უძღვნია სოფლის ცხოვრებიდან სცენებისათვის. «ჩემი პიესა, ამბობს ი. გომართელი, არ წარმოადგენს სახელოვნო ნაწარმოებს, — ის ნაყოფია მხოლოდ ჩემი დაკვირვებისა. მე კარგად ვიცი, რომ ჩვენს გლეხებს და მიწოდოდა, დამეხატა ის, აღმენიშნა აქ, რაც თვითონ მიწახებს, ან გამოგონია...»

წინდაწინვე ვიცი ერთი საყვედური, რომლითაც მომმართავს მე მკითხველი: ჩვენი გლეხი ავადმყოფს ვერ დაბარობდა, — ის არ არის ასე მხეციო. ჩვენი გლეხი ღვთისნიერი დადიანია, მაგრამ ამგვარი სიმხეცის ჩადენა ზოგჯერ შეუძლია. ქლექი ის საშინელი სენია, რომლისაც ჩვენ გლეხს მეტად ემინია; ის დარწმუნებულია, რომ, ერთხელ თუ გაჩნდა ქლექი სახლში, მერე სუყველას მუხსს გაავლებს, და ამიტომ სშირად ველურ ზომას მიმართავს ხოლმე ქლექის მოსასპობად. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ზემო-ივერეთის ზოგიერთ ადგილებში ქლექიანებს გადაუწყენდნენ ხოლმე, ე. ი. ცალკე მოუწინავედნენ ფაცხას, დამწყვედვდნენ შიგ ზსარკმელიდან აწვდიდნენ საქმელს; სშირად კი მოგულადვდნენ



ხოლმე: იყენენ ისეთი პირები, რომლებიც ამ ხელობას კისრულობდნენ და კარგ სასყიდელსაც ღებულობდნენ. ხალხი აქ სახიზლარს არაფერს ხელდავს, რადგანაც ეს მიაჩნდა ერთადერთ რადიკალურ ზომად ქლეკის მოსასპობად. ამ გვარა მაგალითი შეგვჩვენა ვინა ჩემის საკულთარის პრაქტიკიდან. მოვიყვანე მარტო ორს. რამდენიმე წლის წინდ ზემო-იშვრეთში მინახეს ქლეკიანი ქალი, რომელსაც პროცესი იმდენად არა ჰქონდა გავრცელებული, რომ თვეზე მაინც არ ეყოცხლა. შინაურებს მე აფუსხენი, რაშიაც იყო საქმე. ორი კვირის შემდეგ ავადმყოფის ამზავი, ბელი ვნახე და, როცა ვკითხე ავადმყოფის ამზავი, მოახჩვესო, მიპასუხა და ჩაიარა. შარშან ერთმა შუახნის კაცმა ქალიშვილი მომიყვანა და მთხოვა: გასინჯე და მითხარი, რა ქირსო. ავადმყოფი ქლეკიანი აღმოჩნდა, მაგრამ ქლეკი ახალი დაწყებული იყო და შეხედულობით ავადმყოფი იმდენად ხალი იყო, რომ, რაც უნდა ჩქარის ნაბიჯით ევლო იმის სენს, რამდენსამე თვეს მაინც იცოცხლებდა. მე აფუსხენი ავადმყოფის მამას, რაშიაც იყო საქმე, და თან დავძინე, თუ რიგაინ ყურადღებას მიაქცევთ, შეიძლება გადითანოს-მეთქი. —მეც ვიცოდი, რომ ქლეკი სჭირს, მარა მაინც თქვენნი დასტური მინდოდაო, მიპასუხა, წამალს ნუ მიწერ, ვიცი, რომ ქლეკიანის წამალი არ არის, შარშან შეილი მყავდა ქლეკით ავად, ეგ უვლიდა იმას და იმისაგან გადაედვა, ახლა ეგ ყველას გადაგედვს; სხვებაც მყავს შვილები, იმისთანა წამალი მომეცი, რომ სხვებს არ გადაედვასო. —მე აფუსხენი, რომ ამგვარი წამალი არ არის, და დავარბე, თუ როგორ უნდა ქლეკიანის მოვლა. სწორედ ერთი თვის შემდეგ მოვიდა ისევ ეს კაცი ჩემთან და სხვა შვილი მოიყვანა გასინჯად. შენი ქალიშვილი როგორ არის-მეთქი, დავეკითხე მე. —მოვაკვდინე, ბატონოვო, მიპასუხა. —როგორ თუ მოაკვდინე-მეთქი, ვკითხე გაოცებულმა. —გადავწვინე და მოვაკვდინეო, ამისნა: ბევრი იყვირა საცოდავმა, არ მჭირს მე ქლეკით, მარა ერთი შვილის გულისთვის მთელ ოჯახს ხომ ვერ ამოვწყვეტლიო. ეს გულზე დარბასილი იყო და სახე მეთად მშვიდი და პატოასანი ჰქონდა. მისი სიტყვები და ჩადენილი საქციელი სრული წინააღმდეგობა იყო მისი სახის გამომეტყველებისა. შენ დაუძახე მას, რაც გენებოს მკითხველო, მე კი დღესაც ვერ გადამიწყვეტია ჩემს გულში, რა ვუწოდო მას, —გავამართლო თუ გავიციტო?...

ყოველივე ეს მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია იმ ყოველმხრივის უნუგეშო მდგომარეობისა, რომელშიც ჩვენი გლეხი იმყოფება. და ჩვენ კი მას ყურადღებას არ ვაქცევდით, სანამ ისევე მან—ტანჯულმა და წამებულმა—არ მიაქცია თავის თავს ყურადღება.

არინ ცოდვილ ქვეყანაზედ ერთგვარი მწვალებლები, რომელთაც კაცის დახრჩობა კეთილ საქმედ მიაჩნიათ. რომ გაიგებთ ამ ველურ კაცებისაგან თავიანთ მსხვერპლთა დახრჩობის ამბებს, შიში მოგიცავს და ბედნიერად სთვლით თავის თავს, რომ ამ ველურ ხალხში არ სცხოვრობ. რომ წაიკითხათ ი. გ.—ის წერილს და სცენას „ქოხში“, შიში შეგიპყრობს; ამბობ, თურმე შენ ბედნიერი არ ყოფილხარ, შენ სცხოვრობ იქ, სადაც არხენად აღრჩობენ კაცს და სრულებით გულგრილიად ისმენენ ავთმყოფის ყვირილს: მიშველეთ, ვინხართ ქრისტიანი, ნუ მახრჩობთ! ქლერკი არა მჭირს! ნუ მახრჩობთ, ღვთის გულისათვის!.. მერმე გამგულდავ მიმებს რომ კითხავს, ეჭმი გომართული: შენი ავადმყოფი რას შერგობ, როგორ არისო? იგინი ისე არხენად ეუბნებიან: დავხრჩვეთო, ბევრი იყვირა საცოდავმა ნუ მახრჩობთო, მაგრამ რას ვიზამდით სხვები გახდებოდა ავადო... დიღ, ამისთანა ამბები თურმე ჩვენში და ამდენი ხანია ვერავის ეს ვერ გაუგია...

ღრობების გაზების 1868—1870 წლების ნომრებში არის დაბეჭდილი ჩვენშიერ გაზავნილი კორრესპონდენტები ქლერკიან ავადმყოფების გადაწევის შესახებ და რომელთაც სიკვლის ჩაოაცვამდენ ხოლმე თავზე და ცხსირა-პირზე როცა გადაწვენილის სულთა-ბრძოლა დაიწყებოდა და სნეულუკანასკნელად ამოისუნთქავდა, მაშინ თავსმდეგი მიიტანდა, უმეტეს ნაწილად, ცხვრის ტყავის გულს, გადააბრუნებდა და ჩაოაცვამდა თავზე. ცოტა ხნის შემდეგ როცა მკვდარი გაცივდებოდა, ყელზე ბაწარს შემოაუქერდა ამ გულს და გარდაცვალებულს ასე დამარხავდნენ. როცა გამოაშკვითებ თავმდეგებს, თურად სჩადიან ამას, აი რა მითხრეს: „ქლეკიანს ზეპლები აქვს დასეული ფილტვებში. როცა სნეული კვდება, მერმე ეს ზეპლები ამოფრინდებიან ქლერკით მკვდრის ფილტვებიდან პირიდან და თუ სხვა ჯანმრთელ კაცს ჩაუტრინდა იგინი ფილტვში, იმსაც ქლერკი დაემართებოა“.



აი, მოკლედ ახსნა ამ ჩვეულების, რომლის მაგალითებიც შორეულ წარსულს ეკუთვნის. შემდეგ ეს ჩვეულება თან-და-თან იშვიათი შეიქნა და უფრო და უფრო სათნოებას მიმართა ხალხში. არ მომხდარა და არ გავიწილა არსად რომ იმნიერად ქლერქიანი გაეგუდოსთ სადმე როგორც ამას მოგვეთხრობს ექიმი ი. გომართლი. ვერც ერთ კაცს ვერაფერს ვერ დასახელებს, რომ თავის შვილის დახარობაზე ასე ფულგროლიად პასუხი გავცეს, როგორც ეს წინასიტყვაობაში სწერია... მაშასადამე, რა საქროა ასეთი ცილის-წამება—ჩვენთვის ეს გავუგებარია. რა უნდა იფიქროს უცხო ერმა ჩვენ ქართველებზედ, როცა შეიტყობენ, რომ ავადმყოფებს, მოვლის მაგიერად ახარობენ? ამისთანა ხალხზე რა კეთილი აზრი უნდა შეადგინოს ვინმემ? ეს ისეთი დაბალი საფეხურია ველურობის, რომ ჩვენ რალაც მოსაჩვენებლათ წარმოვიდგენთ იმათ ოცნებას.

ამას წინაღუდ წარმოუდგენიათ, ბათუმში ექიმის ივ. გომართლის სტენები „ქოხში“. იჭერებოდნენ, ხალხი ბევრი დაესწრო და წარმოადგენაც მოიწონესო! ნეტავი ჰქონდათ კაცმა, რა მოეწონათ? ნუ თუ ის მოეწონათ, რომ ჩვენი ხალხი ველურად გამოიყვანა და მამამ თავისი შვილი და ძმამ თავისი ძმა დაახრჩო!? სპარტანელების კანონები და რომაელების გრძობა როგორცა სჩანს მეცხრამეტე საუკუნეში გამოეფუზლა ჩვენში!

უნებლიეთ გვაგონდება აქ შემდეგ:
 ლ. ნ. ტოლსტოიმ დასწერა ამას წინაღ რუსეთის დაბის ხალხის ცხოვრებიდან სტენები, „Власть Тьмы“, რომლის წარმოდგენისათვის გერმანიაში დიდი ფული დახარჯეს და სტენები დასვებით წარმოადგინეს. ამ სტენებმა ალტაცებაში მოიყვანა გერმანელები და მრავალჯერა წარმოადგინესო. წარმოდგინეთ, რუსებს მოეწონათ გერმანელების ალტაცება. ვერ მიხვდნენ რუსები, რომ გერმანელებმა რუსეთის მდებარე ხალხის ველურობა შეატყობინეს მთელ ქვეყანას და აბით დასცილდნენ მათ, თორემ კი არ აქებდნენ!..

ჩვენში რომ ქლერქიანის გადაწვნა იცოდენ—მართალია. გადაწვნილი სწელი როცა კვდებოდა, გაჰქონდათ იქიდან, დამარხავდნენ და ქოხს და ნივთებს სწვავდნენ. ხალხი გადამდებ სწულეზად სთვლიდა ქლერქს. ექიმები კი ერთ დრომდე ამბობდნენ, რომ ქლერქს გადაემდები მარ არისო. ხალხი არ უჯეროდა ამაში ექიმებს და მართალიც იყო. ბოლოს ექიმებიც ამ დასკვნას დაადგნენ პასტერიას

და კოხის გამოკვლევის შემდეგ და თვითონაც კი გაიძახიან: ქლერქი გადამდებიაო, მაგრამ დღეს აღარაფერ ვერდება და მეტის-მეტდაც გავრცელებულიც არის ეს სწულეზა.

ი. გომართლის-კი თითქოს იმის დამტკიცება სურდეს, რომ სწულეების დახარობა და ქლერქის გავრცელებაც ბიოლოგიკური და ესლანდელი რეჟიმის ბრალიაო!.. მაშასადამე საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისში ქლერქიანები არც-კი უნდა იყვნ. რატომ? იმიტომ რომ იქ რუსეთის გვარი რეჟიმი არ არის.

ბატონ გომართლის ერთხელაც არ წაუკითხავს სტატისტიკური ანგარიშები ქლერქის ავადმყოფობით გარდაცვალებულთა ჩვენსა და უცხოეთის სახელმწიფოში. რომ ამისთანა ანგარიშები გადაეთავლირებინა მაშინ იგი დარწმუნდებოდა, რომ იქ სადაც ერსაუბლიკური მართებლობა არის და ლიბერალური კონსტიტუცია არსებობს ერთი ხუთად მეტი კვდება ქლერქით ვინემ ჩვენს სახელმწიფოში. იქ სადაც დარბი და პროლეტარიატი ხალხი არის მომუშავე ქარხნებში და მიწის მალარობესა და სხვადა-სხვა მანდების გვირაბებში, რასაკვირველია, გავრცელებულია ეს სენი. მაგრამ ოღონდ სთქვას რამე გასაკვირველი კაცმა თავის გამოსახენად, თორემ იმას არ დაგიდევს მართალია თუ ტყვილი.

გაზეთების საშუალებით და ქადაგებით გამომოტანეს ჩვენში პროლეტარიატობის წოდება. გაზეთების სათაურებში დიდის ასოებით დაბეჭდეს: „პროლეტარიატებო მთელი ქვეყნისა შეერთდით“. ამასთან გაახშირეს წერა: პროლეტარიატები მთელს ქვეყანას დამიკვიდრებენო, რადგან მათში იქნება ძალა—უფლება ამ ქვეყანაზე ბატონობისაო. სწირად გაიგონებდი გლხებისყვან: ღმერთო ჩუ ნუ მომიკლავ, რომ პროლეტარი არ გავხდე! სიკვდილი არ მირჩენია, რომ მთელი ქვეყნის პროლეტარიატებში არ გავერიო! არაფერ რიგაინად არ აუხსნა და არ განუშარტა გლხებს თუ რა არის პროლეტარიატი. სახაზინო, საეკლესიო, თავდაზნაურობის და საუფლისწულო მამულები პროლეტარიატების იქნებაო და, ხალხიც პროლეტარიატად გახდომას სურვობდა!.. ბევრი დარწმუნდა დღეს მწარე გამოკლიებით თუ რა ყოფილა პროლეტარიატობა და დარწმუნებული ვართ აღარასოდეს აღარ ისურვებენ პროლეტარიატად გახდომას მაგრამ რაღა დროს!..

სოფლის სურესი.

შურნალ-გაზეთებიდან.

აგრანულ გაფიცვის შესახებ. როგორც საყო-
თარ კორესპოდენტის დებეშამ გვაცნობა, ჩვენს სო-
ციალ-დემოკრატებს ქუთაისის კონფერენციაზე
დაუდგენიათ სხვათა შორის გამართონ ავი-
ტაცია დასავლეთ საქართველოში აგრარულმა,
სადგილ-მამულა გაფიცვის შესახებ. ამ ამავემა
ჩვენ მეტად დავგაფიქრა. ჩვენ უფლით თანავეუ-
გრძნობთ საერთოდ ეკონომიურს და კერძოდ აგრა-
რულ გაფიცვებს და მხურვალე დამცველი ვართ მუ-
შის და მშრომელი გლეხობის, მაგრამ ყველაფერი
უნდა ხდებოდეს თავის ალოზე. უდროვით დათესი-
ლი პური ან სიმინდი ნაყოფს ვერ გამოიღებს და
შრომაც ტყვილა ჩიარს. აგრეთვე უდროვით მო-
მდარ პოლიტიკურს თუ ეკონომიურ გაფიცვებს
მოაქვს გაფიცულთათვის სარგებლობის ნაცვლად
დიდი ზიანი, ამის მაგალითი ძლიერ ბევრია და მათ
შორის პირველი ადგილი უკავია რუსეთში მომხდ-
არს პოლიტიკურ გაფიცვას. ამ გაფიცვამ შეაჩერა
მრეწველობა, დასცა ნივთიერად მშრომელი ხალხი,
დაასუსტა საშინლად მებრძოლი ძალები და მით
ხელი შეუწყო რეაქციის გაბატონებას და ბიუროკ-
რატის თარეშს...

ამ რიგით პოლიტიკური თუ ეკონომიური
გაფიცვა ორ პირი იარაღია და მისი აზრინანდ ხმა-
რება მოითხოვს ალოს, ტაქტიკას და შორს გამჭვრ-
ეტობას.

რას წარმოადგენს დღეს დასავლეთი საქართვე-
ლო? წარმოადგენს გაოხრებულს, განადგურებულ
მხარეს, წარმოადგენს სამხედრო ბანაკს, სადაც მძეი-
ნვარებს ველური თარეში და თვითნებობა... ხალხს
სწვავენ, არბევენ, ცარცვავენ, ანადგურებენ, ახდ-
ვინებენ დიდ ბევრას და ჯარიმებს, ჟღეტენ, ატუ-
სალებენ და აუბატურებენ... ხალხი დევცა სულით,
ხალხი ვალატაკა ნივთიერად. სოფლის გლეხობას
წართვეს და დაუწვეს სარჩო-საბადებელი, ამ გლე-
ხობას მოელის შიმშილი და ამ საშინელ კრიზისის
დროს განა შესაძლებელია გლეხმა გამოუცხადოს
მემამულეს ბოიკოტი და არ დაიმუშაოს მისი ყან-
ბი?! განა შეიძლება ამისთანა ვაჭირვების დროს
ვურჩიოთ ხალხს, დაიკრიფეთ გულზედ ხელები, ნუ
იმუშავებთ ამ გაზაფხულზედ, ნუ დახნათ და ნუ
დათესავთ მემამულის ადგილებსაო?! ამ შ რ ა ნს

მშვიერმა და ვალატაკებულმა გლეხმა? რითი ირჩინოს
თავი? რითი არჩინოს ცოლ-შვილი? რითი გაღიხ-
დოს აურაცხელი ბევარა და ვიღები? სადა აქვს მას
იმდენი მიწა, რომ ეყოს დასამუშავებლით? სად წა-
ვიღეს? რა აკეთოს?

რატომ ეს მწვევე კითხვები არ მისცეს თავიანთ
თავს ჩვენმა სოციალდემოკრატებმა, როცა ადგენდენ
თავიანთ განაჩენს? ადვილია თქმა, და გადაწყვეტა,
ადვილია პროპაგანდა და აგიტაცია, ადვილია სწი-
რად ხალხის აყოლიება და დაჯერება შიშით თუ
ნებით, მაგრამ არაა ადვილი იმის წინ-და-წინ მო-
საზრება თუ რა შედეგი მოყვება ამა თუ იმ საქე-
ელს...

ჩვენის აზრით ამ ყმათ არაა შესაფერი დრო
აგრარულ გაფიცვების მოსახდენათ. ეს გაფიცვები
კიდევ უფრო გაამწვავებს საქმეს და სულ ერთიან
ბოლოს მოუღებს ისედაც საშინელ გაჭირვებაში
ჩავარდნილს ჩვენს გლეხობას («ახალი დროება»).

უცხოეთის ზრესა რუსეთის კონსტიტუციის შესახებ. გერმანიის გაზ. „ვოსიშე ცეიტენგი“ ამ რიგათ ახასიათებს რუსეთის კონსტიტუციას:

„ახალი კონსტიტუცია ნამდვილად მეტად
მკირე უფლებებს აძლევს რუსეთის ხალხს. მართა-
ლია იგი უხსნის ზვას ხალხის წარმომადგენელთ
კანონმდებლობაში, მაგრამ ამით ბევრი არაფერი
გამოდნება, რადგან თვით კონსტიტუცია შეადგენი-
ლია მეტად უვარგისად და საცოდავით. ორივე პა-
ლატას, ე. ი. სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს
ძლევით კანონმდებლობის ინიციატივის უფლება;
კანონ-პროექტი უნდა დაამტკიცოს ორივე პალატამ.
თუმც პრაქტიკულად ეს გარემოება მოსპობს მინი-
სტრების მიერ კანონების უზომო ფაბრიკაციის,
გარამ ახალი კონსტიტუცია არ იძლევა არავითარ
გარანტიებს მინისტრების ბრძანებათა წინააღმდეგ,
რა საშვავლებითაც მინისტრებს ადვილიათ შეუძლიათ
გვერდი შეუარონ კონსტიტუციონალურ დადგენი-
ლებებს და იმოქმედონ ძველებურათ. როგორც წი-
ნათ, ისე ახლაც მთავრობის თვითნებობას შეუძლია
შებოროკოს და ხიფათში ჩააგდოს მცხოვრებთა კერძო
და საზოგადო ცხოვრება. ხალხის წარმომადგენლებს
თითქმის ნება არ ექნებათ შეეკითხონ და მოსთხო-
ვონ ანვარიში მთავრობას ადმინისტრაციის ბოროტ-
მოქმედების შესახებ. ამ წარმომადგენელთ არ ექ-



ნებათ უფლება უყონ რაიმე კანტროლი მთავრობას ადმინისტრაციულ მოქმედებაში. მინისტრები არამც თუ პასუხს არ აგებენ პალატათა წინაშე, არამედ ვალდებულნიც კი არ იქნებიან პასუხი გასცენ შეკითხვაზე წარმომადგენელთ. გარდა ამისა პალატებს არ ექნებათ არავითარი უფლება შეეხონ სახელმწიფოს ბიუჯეტს და უყონ კანტროლი ფინანსიურ გამგეობას.

„უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ კითხვა, შეუძლია რუ არა კონსტიტუციას მოაშოროს ის უსუსოინფლესი ბოროტ-მოქმედებანი, რითაც იჩაგრება მთელი რუსეთი. ცხადია, არა. მინისტრები, რომელნიც სათათბიროს წინაშე პასუხს არ აგებენ, წინადადებურადვე თავის ნებაზე გააკეთებენ ყველაფერს.“ (ცნ. ფურ.).

გაზ. “რუს“-ს აზრით რუსეთს არ შეუძლია გამოვიდეს ფინანსიურ გაკირვებიდან, თუ დღევანდელი შინაურული პოლიტიკა არ შეიცვალაო:

„ქალაქის ფული ახლაც კი 40 თუ 50 მილიონის მანეთით მტეტი არის, ვიდრე ოქროს ფული, ამბობს გაზეთი. სამწუხაროდ რუსეთიდან კიდევ ბევრი ოქროს ფული უნდა გაგზავნოს მთავრობამ, რადგან მხოლოდ ოქროს ფულით უნდა გადახდოს ვალი, რომელიც იაპონიასთან ომის დროს დაედო. სახლდვარ-გარეთიდან კი ოქროს ფული ჩვენში ძლიერ ცრტა შემოდის, რადგან რუსეთიდან უცხოელები ვეღარაფერს ყიდულობენ.“

„დაუსრულებელი შინაური არეულობისაგან ჩვენს ვაჭრობასა და მრეწველობას ბევრად უფრო დიდი ზარალი მოუვიდა, ვიდრე გონია ჩვენს სამინისტროს. ევროპელებმა ჩვენს ვაჭარ-მრეწველებს აღარაფერი ანისიავეს. მემამულეებმა თავისი მამულები მიატყვეს და აღარ დამუშავეს. დამსჯელმა რაზმებმა გაანადგურეს ხალხის სიმდიდრე, დიდი ზარალი იმის გამოცა რომ აუარებელი მშრომელი ხალხია დატუსაღებული. ამას დაუმატებ კიდევ შიმშილი 22 გლუბერიაში და სხვა და სხვა.“ (ა. დ.).

* *

შენი არ ვიცე, მკითხველო, და მე კი ჩვენს «სოციალ-დემოკრატები» თავისი ქცევით ინგლისის სტიმრტებს და საფრანგეთის ბურჰონებს მაგონებს. ამათაც იმასხავით «არც არა დაივიწყეს და ვერც არა ისწავლეს რა» როგორც ეტყობა მათთვის არ

არსებობს არც ცხოვრების გამოცდილება, არც ისტორიის გაკვეთილები. ხოლო რა გაკვეთილებიც მისცა რუსეთის და კერძოდ საქართველოს ცხოვრებამ ამ ბოლო ხანებში, ეს მაგათ ვგონებთ, ჩვენზე კარგათ უნდა იცოდნენ. თითქმის მთელი წელიწადის განმავლობაში გაბმულმა შეუწყვეწელმა გაფიცებმა შეაფერხეს მრეწველობის განვითარება, დაეცა ვაჭრობა, რის გამო მრავალი მუშა ხალხი დარჩა უსაქმოდ, ულუფმაპუროდ. განუწყვეტელმა ყვირილმა აჯანყებულს, როდესაც იარალი სრულმეთითაც არ გაანდათ თურმე, შედეგად ის მოიტანა, რომ თითქმის მთელი საქართველო გააფთრებულმა ბიუროკრატამ ნაცრად აქცია. იმერლიდან ჩამოსულნი ლაპარაკობენ, რომ ვაჭრებში მისი მეთადიც არ არ არის დაწერილი, რაც გადახდა და კიდევ ხდება ჩვენ მრავალტანჯულ ერს. დაბა-სოფელ-ქალაქები დაზგრეულია, რაც სარჩო საბადებელი ვედათ, ძლივე-მოსიდ „დამსჯელებს“ მიაქეთ, ცხოვრების ყოველივე სახსარს მოკლებულმა გლეხმა არ იცის რითი უშველოს თავს და სასოწარკვეთილებაში ჩაუარდნილი ტყვეებში იმალება, მთებში რხიზება.

ყველა ქართველი, ყველა მათიოსანი მოქალაქე, ვისაც კი სურს წარმატება თავის ერისა, ახლა იმის ფიქრსა და ზრუნვაში უნდა იყოს, რომ რამე სახსარი აჩვენოს ხალხს ამ უბედურობისაგან თავის დახვეწისა, რამე მალაომა დაადაოს ხალხის პირველ შეხედვით უკურნებელ წყლულს. ხოლო თუ ეს ზრუნვა მოვალეობაა ყოველის შგვნებულის ქართველისა, მით უფრო მართებთ ეს ჩვენ პოლიტიკურ პარტიებს და ნამეტნავად სოციალ-დემოკრატისა, რომელსაც ხალხზე ზრუნვა თავის დროშაზე უწყობია. ამ პარტიისაც ჰქონდა დრო, როდესაც მთელი ხალხი, თვით ბურჟუაზიული კლასებიც კი, ამოუღუნენ გვერდში და სასოებით შემცქერაღნი ამ პარტიისაგან მოელოდნენ ხსნას ბიუროკრატის ბრქყალებისაგან. მაგრამ ეწრით დრო არავის შერჩენიაო ნათქვამია. არ შერჩა ეს დრო სოციალ-დემოკრატისაც.

ახფრთოვანებულმა ოქტომბრის მართლაც და დიდებულ გაფიცვის გამარჯვებით, იმ გაფიცვისა რომელსაც, პლენაროვის სიტყვის არ იყოს, მთელი რუსეთი თანაუგრძნობდა პოლიციისა და დახვეწებულ რეაქციონერების გარდა, სოციალ-დემოკრატამ ამაყად აღინაღლა თავი და საყოველთაო გა-

ფიცვა გამოაცხადა ერთად-ერთ ძლიერ იარაღად, რომელსაც შეუძლიან ერთის დაკვერთ მოსპობს ხალხის მონობა. დაიფიწყა ამიტერადამის კონგრესის და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურის გაფრთხილება, რომ საყოველთაო გაფიცვა ორპირი იარაღია, რომ თუ ჩაიშალა, მაშინ ის ქამანდი ხდება გაბატონებულ კლასების ხელში მუშა ხალხისთვის ყელში წასაქვრათ. დიახ, ეს დაიფიწყა სოციალ დემოკრატამ, და გაფიცვა გაფიცვაზე გამოაცხადა.

მესამე გაფიცვის ჩაშლამ და მოსკოვის აჯანყების დამარცხებამ ისე დასცა სოციალ-დემოკრატიის ავტორიტეტი, რომ ინტელიგენციასზედაც არა ვსთქვით რა, რომელიც სოციალ-დემოკრატიის უტაქტო ქცევით პირველ გაფიცვის შემდეგვე ჩამოშორდა მას, ხალხში სრულებით დაპყარვა ნდობა და ბოლო დროს საქმე იქამდე მივიდა, რომ დასავლეთ საქართველოში, რომელიც სამართლიანად ამ პარტიის სამეფოდ ითვლებოდა, სოფლებში აღარ უშვებენ სოციალ-დემოკრატებს და ვისაც კი მოახელეს მთავრობის აგენტებს გადასცეს.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი წარსულს ეკუთვნის და ჩვენ თუ გვიხსენებთ მხოლოდ იმიტომ, რომ გავვევო, როგორ ისარგებლა სოციალ დემოკრატამ ცხოვრების გაკვეთილებით და შესცვალა თუ არა თავისი მოქმედების ტაქტიკა, ის რომელზედაც ბ. პლენხანოვი სწერს: „ცხოვრებამ დაგვიანახვა, რომ ჩვენ პარტიის მიერ უკანასკნელ თვეებში მიღებულ მოქმედების ტაქტიკა უფარგისია. კვლავ რომ თავიდან ავიცილნოთ ასეთი დამარცხებანი, მოვალენი ვართ, შევეცვალოთ იგი. სამწუხაროდ, ქუთაისის კონფერენციის დადგენილებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს ბურ-ბონებსავით „ვერა უსწავლიათ-რა“. იმ დროს, როდესაც პარტია ეხლა სულ იმის ცდაში უნდა იყოს, რომ ხალხის თვალში თავის ავტორიტეტი ისევ აღადგინოს, არა სცვლის იმ ტაქტიკას, რომელიც ბოლო მოუღო მათ გავლენას.

ამ დროს როდესაც ჩვენი ქვეყანა გავერანებულია, ჩვენ უნდა გავიორკეცოთ ენერჯია სიმხნევე რამ შრომით ავინაზღაუროთ დიადი დანაკლისი, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ გაღატაკებული ხალხი ვერ შესძლებს განვითარებას, რომ პროგრესი და წინსვლა-წარმატება შეუძლებელია იქ, სადაც

ხალხმა არ იცის ხეალ რითი ისაზრდოვოს. განა დანაშაული არ არის ამისთანა დროში უშრომელობის, უმოქმედობის ქადაგება.

გერმანელების აკლების შემდეგ 1870—71 წ. საფრანგეთი მხოლოდ მოუღალავემა მუშაობამ აღამალა ხელმეორედ პირველხარისხოვან სახელმწიფოდ მალე. საფრანგეთის მოღვაწეთ რომ იმ ეროვნულ უხერხულობის შემდეგ გაფიცვები ექადაგნათ თავის ერისთვის მაშინ ის ეხლანდელ საფრანგეთს კი არა, ესპანიას დაედრებოდა, იმ ესპანიას, რომელიც თავისი ხალხის უშრომელობის წყალობით ქვეყნის ბატონის როლიდან ჩამოსწია პატარა სუსტ სამეფოდ, რომელსაც არავინ არასა ჰკითხავს და ყურს არავინ უდგებს.

ვიმეორებთ, მხოლოდ შრომა, დაუდგომელი შრომა აუნაზღაურებს ჩვენ ხალხს მამა-პაპათა ნოღვლარს და გაუკაფავს გზას მომავალ საიმედო ცხოვრებისაკენ. (ახ. დრ.)

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * «ახალ დროებაში» დაბეჭდილი ამბავი, ვითომც ებისკოპოსი ლეონიდი სხვა ეპარქიაში გადაყვდეთ სიმართლეს მოკლებულია.

* * ნაქმენიკის განკარგულებით სამხედრო წესები სოხუმის ოლქშიაც შემოიღეს. ეს ოლქიც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს აღიხანოვს დაუქვემდებარეს. ეხლა მთელ ამიერ-კავკასიაში დარჩა მხოლოდ ყარსის ოლქი, სადაც სამხედრო და საალყო წესები არ არის.

* * 4 მარტს გამოვიდა ახალი გაზეთი „საგრაქმეა“². ვა, რომელიც დაურიგდა ჯგაზნოფენიკას ხელის მომწერთ. ახალი გაზეთი ნაფიც ვეჭილის ა. ი. ყანჩელის რედაქტორობით გამოვიდა.

* * 25 და 26 თებერვალს ბათუმიდან რუსეთში გემით გაიგზავნენ ჯარში ახლად გაწვეულნი: სენაკის მარტიდან—139 კაცი, თელავის მარტიდან—82 კაცი, სხვა-და-სხვა ადგილებიდან 130 კაცი, წინადა გაიგზავნა ქუთაისის გუბერნიიდან—330 კაცი.



* * * ნამესტნიკს შეუწყნარებია ახალ-ათონის მონასტრის რუს ბერების შუამდგომლობა 10 ბერდანის მიცემის შესახებ.

* * * მ. ანანოვის გაძარცვის სურვილმა დიდი უბედურება დაატრიალა აჯამეთსა და მახლობელ სოფლებში. თავ-დასხმის მეორე დღესვე ს. გორაში მოვიდა და დაბინავდა 25 ყაზახი ხოპერის პოლკისა. ეს საქმე იყო, რომ უმეტესი ნაწილი სოფლისა გახიზნულიყო ძალმომრეობისა და ქალთა გაუბატოურების მოლოდინში. ვინც გახიზვნა ვერ მოასწრო, თავისი ვალი გადაიხდა: მამაკაცებს მთარახი სწენიეს, ხოლო უმეტეს ნაწილს ქალებისას ნაშუსი აჰხადეს. ანანოვის თავ-დასხმაში ეჭვი ჰქონდათ მიტანილი გორის მცხოვრებელ ქართველი შვილებზე, რომელიც ოჯახობით ყაზახების მოსვლისთანავე გახიზნა. 26 თებერვალს ქართველი შვილის 15 წლის და თავის სახლის დასათვლიერებლად დაბრუნდა. ეს ყაზახებმა შეამჩნიეს და ქალის დაქერა მოინდომეს. ქალი გაიქცა, ყაზახებმა უკან ტყვია დაადევნეს და წუთი-სოფელს გამოასაღმეს ახალ-გაზდა ქალი. (ც. ფ.).

* * * როგორც უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, ამჟამად პეტერბურგში არიან და ფარულად ცხოვრობენ რწმუნებულნი ამერიკელ კაპიტალისტებისა: როკველდერისა, გულდისა, ფლინტისა და სხვა. ამათ გრ. ვიტტესთან მოლაპარაკება აქეთ რკინის გზის ზოგიერთ ლიანდაგების ყიდვის შესახებ.

* * * შინაგან საქმეთა სამინისტროში დაყენებულია საკითხი სოფლის პოლიციის გაძლიერებისა და საერობო დარაჯთა რიცხვის მომატების შესახებ. საკითხი შესახებ იმისა, რომ შემამულეებს მიეცეთ ნება იყლიონ ხოლმე დარაჯები, დასტურით გადაწყდა.

* * * გენ. გროდეკოვის ბრძანებით იაპონელებს აეკრძალათ ჩრდილოეთ მანჯურიის საზღვრებში შესვლა.

* * * სახელმწიფო საბჭომ მოიწონა განმარტება იუსტიციის მინისტრისა იმის შესახებ, რომ თუ უკანონო შეილის დედა იციან, ვინ არის, მაშინ შესძლებულია ეს ბავშვი დღის სარწმუნოებისმებრ მონათლოს. — გაზეთების სიტყვით ევროპის რუსეთის 20 გუბერნიისთვის აგრარულ მოძრაობას 31 1/2 მილიონის ზარალი მიუყენებია. გულუბავის თავ-მჯღომარეობით გამართულმა საგანგებო კრებამ კი

შეუძლებლად სცნო 10 მილიონის ზარალის ნაზღურებაც კი.

* * * ოფიციალური. ხელმწიფემ ბრძანა 27 თებერვალს, ჩარცხულ იქნან იმ კომისიაში, რომელიც სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებისთვის მასალებს ამზადებს, გენ.-ლეიტენანტი კირეევი, აზნაურები დიმიტრი სამარინი, კიევის უნივერსიტეტის პროფესორი ევგენი ტრუბეცკოი და ნიკოლოზ აქსაკოვი, როგორც მართლმადიდებელ სარწმუნოების ერთგულნი მიმდევარნი და მკოდნე პირნი.

* * * კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ტფილისის ოლქის სასამართლოს ზოგიერთ წევრებს დაავალა წვიდნენ ტყ. გუბერნიის სხვა და სხვა მხარებში და ხელმძღვანელობა ვასწონ სახელმწიფო სათათბიროსათვის არჩენების დროს.

* * * კონსტ.-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის ბიუროს გადაუწყვეტია მონაწილეობა მიიღოს არჩენებში და კიდევ შესდგომია სამხადისს. იქაურმა წრემ სთხოვა ტფილისის ბიუროს, გაუგზავნოს ბროშურები და სხვა გამოცემანი.

* * * უმაღლეს მანიფესტის გამო ბუბეჯას უთქვამს „რუს“-ის თანმშრომლისათვის: „მე ვერ გამიგია, რად ებლაუტება რუსეთის მთავრობა თვითმპყრობელ რეჟიმს. სულ ერთია, ეს რეჟიმი დიდხანს ვერ იბოგინებს. სოციალურ განვითარებას ვერაფერი შეაყენებს, ბისმარკი ტყუილად ცდილობდა ამას ეხლა ვიტტეც ამავე შეცდომას იმეორებს. ვერ გამიგია, რატომ არ უნდათ, მისცენ რუსეთს განზრახული კონსტიტუცია... მე მკვლელობას არ თანაუგრძობა, —რეაქციას ახალ იარაღს აძლევს, მაგრამ ამასთანავე ეხედავ, რომ მშვიდობიანად ვერაფერს ვერ მიიღწევს კაცი. საოცარია, აქამდის როგორ არ დაცვა სრულიად რუსეთის ფინანსები. რუსებმა საზღვარ გარედ ფულები ვერ მიიღეს და ვერც მიიღებენ, ვიდრე კონსტიტუციას არ შემოიღებენ. სულით და გულით ვისუფებ, რომ რუს მებრძოლთა საქმე გამარჯვებით გათავდეს“. (ც. ფ.).

* * * შეკრებილ წილობით, საქართველოს საექსარხოსოში 1904 წელს 3,714 სამღვდელი პირი ყოფილა. აქედან 15 ჰქონია მიღებული უმაღლესი განათლება, 503 — საშუალო განათლებისა, ხოლო 3,189-დან ზოგს სასულიერო სკოლა გაუთავებია, ხოლო ზოგს სულ არ მიუღია სწავლა.



* * ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მომუშავე „პატრიოტები“ როგორც გადმოგვცეს, გაფიცვას აპირობენ თურმე, რადგან რკინის გზაზე მომუშავეთა უმეტესობა „სოციალისტები“ა. როგორც სწანს, „პატრიოტები“ კმაყოფილი არ არიან იმ რეპრესიებით, რომელსაც რკინის გზის უფროსი ნიერგებური ხმარობს მისამსახურეთა შესახებ და უფრო მეტ რეპრესიებს თხოულობენ.

* * ამ უკანასკნელ დღეებში თფილისში ძლიერ განხორციელდა სახლების და მთელი უბნების ჩხრევა. გაჩხრიკეს მთაწმინდაში რამდენიმე სახლი, 8 მარტს გაჩხრიკეს (მეორეჯერ) სახაზინო თეატრის შენობა, სადაც ვერაფერი აღმოაჩინეს. გუშინ-წინ 8 მარტს საღამოს 8—9 საათზე გოლოვინის პროსპექტზე გაჩხრიკეს «მოსკოვის ნომრები». პატრონი ხუნდაძე თავის ბინაზე, ნომრების ახლო გადაყვის სახლში, გაჩხრიკის დროს იპოვეს ყუმბარა. გაჩხრეკამდე რამდენიმე წუთით წინ სახლის პატრონს გაბავეს მეგზოვესგან შეუტყვი, რომ იმის სახლის ეზოში მოთამაშე ბეშეგებმა ყუმბარა ნახესო. ერთი ყუმბარა საღამო დაუშლავთ, ხოლო მეორეს დამალვა ვერ მოუხსრიათ, უცბათ სახლს ჯარი შემორტყმია. ხუნდაძე დაუქურთათ და საკომენდანტო სამმართველოში წაუყვანათ. 9 მარტს, დილის 9 საათზე გაჩხრიკეს აგრეთვე სასტუმრო „ბერლინი“ (ვერაზე), მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. იმავე დღესვე 9 საათიდან ალყა შემოარტყეს და გაჩხრიკეს მთელი ნავთუღლი, სადაც მხოლოდ ერთი თოფი და რამდენიმე ჟანგიანი ბანჯალი აღმოუჩინათ.

* * 9 მარტს, დილის 12 საათზე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში თავდაპირველად კრება შესდგა გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებლის ა. ორბელიანის თავმჯდომარეობით. წინთ ამორჩეულმა მოსამხალღებელმა კომისიამ ამ კრებისთვის შეიმუშავა პროგრამა საგნებისა, რომლებზედაც კრებას უნდა ჰქონოდა მსჯელობა. თფილისის გუბერნატორმა კრების პროგრამიდან ბევრი მუხლი გამოტოვა და ნება არ მისცა მათე მსჯელობა ექნათ. მაგალითად: საზოგადოთ საომარ დროის წესების მოხსნის შესახებ, საქართველოს ავტოკეფალიის შესახებ და სხვ. ამიტომ 9 მარტის კრება პირდაპირ შეუდგა სათათბიროს ამორჩეულთა არჩევას. დიდხანს ჰქონდათ კამათი იმაზე ყველამ მიიღოს თუ არა არჩევნებში მო-

წაწილეობა, თუ მარტო ცენზიანებმა. ბევრი ცენზის მომხრე იყო და ამიტომ ეს საკითხი ისე გადაწყდა, რომ არჩევნებში მხოლოდ ცენზიანებს უნდა მიეღო მონაწილეობა. ცოტა ხანი კამათის შემდეგ თავჯდომარემ თხოვა კრებას კანდიდატები დაესახელებინათ. კანდიდატებთ ამორჩეულ იქმნენ: ილია გ. ჭავჭავაძე, მ. ა. გედევანიშვილი, ივ. სულს. ჭავჭავაძე, თავ. დ. გურამიშვილი. ამომრჩეულებათ არჩეულ იქმნენ ილია გ. ჭავჭავაძე (40 თფთრი და ერთი შავი) და მ. ა. გედევანიშვილი (35 თფთრი და ექვსი შავი).

ახლ-სენჯიდან ჩამოსულებმა შემდეგი გადმოგვცეს: «ბაზარში შეშის გატანა არ შეიძლება ისე, სანამ მოწმობას არ წარმოადგენენ, თუ ვის მამულშია შეშა დაჩეხილი. მცხოვრებნი ძლიერ შეაწუხა იმ გადასახადებმა, რომელიც ხალხს გააწერეს. სახელმწიფო გადასახადებისა და ძველი ნედლიძის გარდა სენჯის საზოგადოების მცხოვრებთ თხოვენ: 5000 მანეთს სენჯში საერობო დარაჯის მოკვლისთვის, 10,000 მანეთს სამაზრო სამმართველოს მიღების კორინსკის მოკვლისთვის, 5,000 მანეთს ნოქალაქეში მოკლულ კოსტა ადამიასთვის. ეს ადამია საერობო დარაჯთა ურიადნიკი იყო და ადვოლობრიე აღმინისტრატიაში ჯამუშობასაც ეწეოდა, რისთვისაც წინეთ სახლი დაუწვეს ს. ეკში. თხოულობენ კიდევ კ. ბერაიას სასარგებლოთ, რომელსაც შვილი მოუკლეს და სახლი დაუწვეს—8,000 მანეთს. პრინცესა მიურატის სასარგებლოთ ნოოდაღევისა, სალხინოსა და ნამკოლის საზოგადოებაში მცხოვრებ გლეხებზე გაუწერიათ 60,000 მანეთი. თითოეულ გლეხზე თურმე 25—28 და მეტი მანეთი მოდის გადასახალი. გადასახალი გააწერა ქუთაის ვიცე-გუბერნატორმა დაღმექელიანმა, თოველში თურქე ჰაჯეგია ჩაყენებული. თავ. მინგრელსკიც თხოულობს თავის მამულების გამგის ქოჩაქიდის შემწეობით გლეხებზე დარჩენილ გადასახადების აკრფვას და და გლეხების მიერ გაჩეხილ ტყეებისა და სხვანაირ ზარალის ანაზღაურებას. საზოგადოთ გლეხების მღგომარეობა წარმოუდგენელია. (განა.)

* * „ბილოს“ გამომანგარიშებით იანვრის განმავლობაში დაუხვრეტიათ 397 კაცი. «სლოვოს» გამომანგარიშებით თებერვლის გან-



მავლობაში დაუხერხებელი და დაუხერხებელი 300 კაცზე მეტი. რამდენს დაუხერხებელი და დაახრჩობენ მარტში ეს ჯერ არავის გამოუჩინებია!

რიგის ცენტრალურ სატუსალოში ზის 937 პოლ. ტუსალი, საგუბერნიოში 593, გამოსაძიებელში 164, ქალბისაში 86 და სატუსალოს საავადმყოფოში 32, სულ 1,712 ტუსალი.

პეტერბურგში დატუსალებულთა რიცხვი უღრის 18,000 კაცს.

ხარკოვის სატუსალოში 12 იანვარს დაუტუსალებითა ფელთფებელი ილარიონ ოლიშარი, რომელსაც ღრემდე არავითარ ბრალდებას არ უღრენენ.

ვარშავაში დაატუსალებს ცნობილი სოციალდემოკრატიკა როზა ლიუქსენბერგი. ოთახში, რომელშიც ის ზის 16 ქალი და კაცი სხვაც ზის. ხანდა-ხან ეს რიცხვი 60-მდე აღისია—წერს ლიუქსენბურგბურგი «ფორვერტში».

* * * „დეილ-ტელეგრაფს“ ატყობინებენ ტოკიოდან, რომ 4 მარტს კუნძულ ფარმოზაზე ძლიერი მიწის ძვრა იყო, ქლაქები დატოო, რაიშიკო, შინკო, სრულიად დაინგრა. კაში დაიღუბა 2,000 ადგილობრივი მცხოვრები და 7 იაპონელი. დატიოში ნახეს 600 გვამი. ზარალი 9 მილიონი გირვანქა სტერლინგია. 5 მარტს ღამე იაპონიაშიაც საგრძნობელი მიწის ძვრა იყო.

* * * 8 მარტს, სამოსამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების თანდასწრებით გააჩრია ხუთი საქმე „ნოვოსტის“ რედაქტორ ნოტოვიჩისა. სასამართლომ ის გაამართლა ბებელის მიერ რეცესტრაგში წარმოთქმულ სიტყვის მოთავსების საქმეში, ხოლო ბრალი დასდო და ერთი წლით დაპატიმრება მიუსაჯა. გახუთი „ნოვოსტის“ გამოცემა სამუდამოთ აუკრძალა, (თუმცა რედაქტორობის უფლება კი არ წაუთრთმევია) კავშირთა კავშირის რეზოლიუციის, ორი მოწინავე წერილის; „ჯარი და ხალხი“ და «ტერიორის» მოთავსებისათვის.

* * * როგორც «ცნობის ფურცელს» გაუგია, სინოდალნი კანტორას განკარგულება მოუხდენია, რომ ამიერიდან „სასულიერო მოამბის“ გამოწერა სავალდებულო არავისთვის არ იყოს.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზრუნველსა და კეთილგონებაზე.

ღმერთი-შემოქმედი და მზრუნველი.

თვით-შემგნე კაცის გონებას აქვს ასეთი მსჯელობა: შემოქმედი სულიერთა და ნივთიერთა არსებათა არის თვით-მყოფი, უზენაესი ყოვლადშემძლებელი სული. ვინც მისცა კაცის სულსა მოჰაზრე გონება, მოსიყვარულე გული და თავისუფალი, გამკრიახი ნება, იგი თვით არის უზენაესი გონება, უზენაესი სიყვარული, თავისუფალი და ყოვლადგამკრიახი ნება. ვინც აიყვანა ადამიანის სული პიროვნობის ხარისხზე, იგი თვით არის უზენაესი პიროვნაი არსება. ვინც მისცა ამ სულსა ძალა უკვდავებისა, იგი თვით არის უკვდავი, საუკუნო. ვინც მისცა კაცის ჰაზრსა ძალა ფრენისა, ვითომც ძალა ყოველგანყოფისა, თვით იგი არის ყოველგანმყოფი. ვინც დააყენა კაცის ბუნებაში მსაჯული, კეთილის მაქმბელი და ბოროტის მძაგმბელი, იგი თვით არის უზენაესი მსაჯული, კეთილის და მსაჩუქრებელი და ბოროტის დამსჯელი. ვინც მისცა ადამიანის სულსა სურვილი ნეტარებისა, იგი თვით არის ყოვლადნეტარი.

ეს არის ბუნებითი გზა ღვთაებრივ ცნობისა. მაგრამ ეს ცოტაა. ასეთი ცოდნა საქმარისი არ არის კაცისთვის. მის სურს იცოდეს: როგორ გაჩნდა ეს ქვეყანა, სადაც კაცი ითვლება მეფედ; საიდან არი თვით კაცი; რად და როგორ დაეცა მისი მშვენიერი ბუნება, რომელიც ქვეყმდებარება სიკვდილსა; სად უნდა ეძიოს კაცმა ხსნა ამ უბედურობისაგან; უკეთუ არის ხსნა, მაშინ რა გზით მოიპოვება იგი. ამ უმაღლეს კითხვებზე კაცის გონება პასუხს ვერ აღლევს, იმიტომ რომ იგი ამ საქმეში უღონოა. აქედგან ცხადად ხსანს, თუ როგორ საჭიროებს კაცის გონება ზენაურ შემწეობაში ზეციერ სწავლაში. ეს

საქირო სწავლა იპყრობა ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო წერილში. ვისაც სურს ქვეშაირტად ცნობა ღვთისა, კაცისა და ქვეყნისა, იგი გონებით, გულით და ნებით უნდა დაფუძნდეს ამ ზეციერ სწავლაზე, რადგანაც იგი არის პირველი და უკანასკნელი წყარო უმაღლესი ცნობისა. ყოველი კეთილგონიერი კაცი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყოველგვარი მსჯელობა შესახებ ღვთისა, კაცისა და ქვეყნისა, რომელიც არ ეთანხმება ზეციერ სწავლასა და კაცის უმაღლეს მოთხოვნილებათა, წარმოადგენს მხოლოდ კაცის გონების შეცდომილებას, სიცრუევსა და საღმობიერ რყევას.

ძველ და ახალ აღთქმის წერილში კაცობრიობას გამოცხადებული აქვს ორი დიდებული, დაურღვეველი ზეციერი ქვეშაირტება შესახებ ღვთაების ორი დიდებული საქმისა: ქვეყნის შექმნისა და კაცთა ცხოვნებისა.

ღმერთმა როგორც სახიერმა და ყოველდღემძღებელმა არსებამ, პირველად შექმნა სულიანგელოზნი, გონიერნი, თავისუფალნი, პიროვანნი, წმინდანნი და ნეტარნი. ეს ხილული სამყარო შექმნილია ექვს დღეში ღვთისა ნებითა და სიტყვითა. მან ბრძანა და გაჩნდნენ ქმნილებანი პირველად უსულონი, მერე სულიერნი და კაცთა. სხული პირველი მამაკაცისა-ადამისა ღმერთმა აღაშენა მიწისაგან და შთაბერა მას სული, შემკული გონებით, გულით, თავისუფალი ნებით, სიწმინდით და უკვდავებისა ძალითა. ადამის გვერდისაგან ღმერთმა შექმნა პირველი დედაკაცი ევა, იმეფ ნიქთა და თვისებათა მექონი. ასე გაჩნდა ადამიანის პირველი მეუღლე. პირველნი კაცნი ღმერთმა დააბინავა ქვეყნიერ სამოთხეში, ედემში, რომელიც იყო მშვენიერი ბაღი განცხრომისა, შეიყვანა იგინი ნეტარ ცხოვრებაში, აკურთხა, უბრძანა მათ გამარჯვება, და მათ დასამყარებლად კეთილზე, მისცა მათ მცნება მორჩილებისა. ანგელოზნიც და კაცნიც მოვალენი იყვნენ ჰქონილად ერთობა თვის შემოქმედთან მორჩილების საშუალებათა. ამას მოითხოვდა სიმართლე და დიდებულება შემოქმედისა. მაგრამ მორჩილების მოვალეობა პირველად დაარღვია ზეცაში პირველმა ანგელოზმა თვის ზეობითა. ამგვარად მან დათრუგნა სიმართლე და ქვეშაირტება, შეითვისა სიცრუე, ბოროტი და გარდაქცა ბოროტ სულად, ეშმაკად-მაცდურად. მან აცდუნა მრავალნი სხვანი-

ცა ანგელოზნი და ყველანი იგინი შეიქმნენ ბოროტ სულად. ეს გუნდი ბოროტთა სულთა ღმერთმა ვაღმოყარა ზეცილ ქვესკნელში საუკუნო სატანჯველად. ეშმაკს, როგორც ბოროტ სულსა, შემუშრდა ნეტარი მღვამარეობა პირველთა კაცთა. ტყუილით შეაცდუნა იგინი და იმათაც, ეშმაკი შეგონებით, დაარღიეს ვალი მორჩილებისა—იყმეს ღვთისაგან აკრძალული ხის ნაყოფი. ასე შესცოდეს პირველთა კაცთა, ასე დევცა კაცობრივი ბუნება. ცოდვამ შეიტანა ამ ბუნებაში არეულობა, უთანხმოება, აღძრა ბრძოლა კეთილსა და ბოროტთან. მას შემდეგ ყოველთვის სწარმოებს ეს ბრძოლა კაცის გონებაში, გულში და ნებაში. კაცის ბუნებაში შეირყნენ: ქვეშაირტება, სიყვარული და სინათლე, როდესაც იმავე ბუნებაში დანერგდნენ: სიცრუე, სიძულელი და სიბნელე. მოაკლდა კაცის კეთილი, რომელზედაც იყო დაფუძნებული მისი ნეტარება. ამიტომ კაცი, როგორც ცოდვი განდევნილ იქმნა სამოთხიდან. მის გარეშე კაცის ხედვლად შეიქმნენ: ტანჯვა და სიკვდილი როგორც ბოროტელი, ისე სულიერი. მაგრამ ღმერთმა შეებრალა ისე დაცემული კაცი. მან აღუთქვა ცოდვილ კაცსა ხსნა ცოდვისა და სულიერი სიკვდილისაგან. ასე დაიმედებული კაცი განშორდა ნეტარების ქვეყნიერ სამოთხესა. უკეთესი ნაწილი კაცობრიობისა ნუგეშობდა ამ აღთქმითა, რწამდა მას მომავალი მაცხოვარი ეს სარწმუნოება შეადგენდა ძველი აღთქმის არსებასა ქრისტე-მაცხოვრის მოსვლამდე. ამგვარად დასაბამი ქრისტიანებისა, როგორც მაცხოვრების სარწმუნოებისა, იწყობა თვით ედემიდან. ამით ღმერთმა შემოქმედმა გამოუცხადა კაცთა ნათესავსა თავისი უმაღლესი მზრუველობა.

ღმერთმა შექმნა რა ქვეყანა, სადაც არის სიმრავლე სულიერთა და უსულო არსებათა, დაადგინა წესი მათის ცხოვრებისა და მყოფობისა. ეს წესი ისე მკვიდრი და შეურყვევლია, რომ მისი დარღვევა შეუძლიან მხოლოდ თვით ღმერთს. ამ წესის ძალით მზე, მთვარე და ვარსკვლავნი ერთგვარად, შეუცვლელად, ათას წლებით უნათებენ და ათბობენ დედამიწასა, და მით იმაგრებენ სიცოცხლესა და არსებასა ყოველთა ქმნილებათა. დედამიწა თვის ნაყოფიერობითა ზრდის სულიერთა არსებათა და მცენარეთა. მათ სასარგებლოდ ჰაერისკეთილშეზავდება, ჭამნი წლისანი იცვლებიან. ზამთა-



რი აძინებს ბუნებასა, გაზაფხული აღვიძებს მას, ზაფხული ნაყოფიერ ჰყოფს, შემოდგომა სიხარულით მკის ნაყოფთა. ოკენათა, ზღვათა, ტბათა, მდინარეთა და წყაროთაგან ამოიორთქლებს და განიფინება ჰაერის სივრცეში სხვა და სხვა ფერ ღრუბლების სახით რომელნიც ამშვენებენ ამ სივრცესა და ატკობენ კაცის მხედველობასა. აქედან იგივე წყალი წვიმისა, თოვლისა, სეტყვისა ანუ ნამის სახითა, უკანვე ბრუნდება და ანოტიებს დედა მიწასა, ნაყოფიერობისთვის. ქუხილი ეღვა და ქარიშხალი სწმენდენ ჰაერსა საენებელ შესაყარ ორთქლოვან, რომლითაცისუნთქავენ ადამიანი და პირუტყენი და აღორძინდებიან მცენარენი. მართალი არის ღმერთი, როგორც მწყალობელი, ისე დამსჯელი. შიშარა ღმერთი დამსჯელი. იმავე სტიხიონითა, რომელსაც ღმერთი იპყრობს თავის უფლებებში, იგი დასაჩუქრებს კეთილსა, ხოლო ბოროტსა სჯის როგორ თავზარ-დასცემენ საწყალ კაცსა, როგორ თრთის იგი, როდესაც ქუხილი და ელვანი, ქარნი და ქარიშხალნი, სეტყვა და წარღვნა, და ძვრა მიწისა უთითებენ მის ღვთის სამართლიან მრისხანებაზე!.. ამა ყოველითა ღმერთი შთააგონებს კაცსა, რომ მას არ უნდა ეძინოს არც განებით, არც ზნეობით არ უნდა ბოროტ მოქმედებდეს; მოვალეა ახსოვდეს მის ღმერთი, თვისი დანიშნა და სცხოვრებდეს ღირსეულად, ადამიანურად და არა პირუტყვად.

ღვთის მცველობაში არიან ეგრეთვე: სამეფოს გამგენი და სამეფონი, ტომნი და ერნი საზოგადოებანი და სახლობანი, ქალაქნი და სოფელნი, ყოველი ცხოველი და მცენარე, მამრობითი და მდედრობითი-სქესი და ცალკე ყოველი მათგანი. ყოველი სული ღვთის ძალით სუნთქავს, მოძრაობს და სცხოვრობს. ყოველი წოდება და მდგომარეობა ღვთის უფლებაშია. იგი აამბლევს ანუ ამბობლებს, დასაჩუქრებს ანუ სჯის კაცსა კეთილისთვის ანუ ბოროტისთვის, ანუ გამოსაცდელად. კაცი ყოველთვის უნდა ემორჩილებოდეს ღვთის წმინდა ნებასა. ღმერთი განავებს სულიერ-ზნეობით ბუნებასაცა. იგი ყოველ კაცს მოსთხოვს ცხოვრების ანგარიშსა. ეს ყოველთვის სახეში უნდა ჰქონდეს კაცსა, რომ მოერიდოს ბოროტსა. კაცის გონებისთვის მიუწოდებელია ძალა ღვთის განგებულებისა. ამიტომ კაცს არა აქვს ნება ყვედრებისა, როდესაც მიუწოდებ-

ლია რაიმე მისთვის ღვთის მოქმედებაში. უკეთუ ამ ცოდვილ ქვეყნაში ბოროტი ხშირად ხარობს და კაცი შეკითხვით უყურებს ამ საოცარ მოჩვენებასა, მან ისიც უნდა იცოდეს, რომ მოვა ქამი, როდესაც ბოროტი დათრუგდება და გაქრება ღვთისა ძალითა, ხოლო კეთილი ეღვთისწაულებს მასზედ ძლევასა. ამიტომ კაცმა მხნედ უნდა უყუროს დროებით ცხოვრების უბედურებასა.

დად ხარ უფალო, შენ არსებას
 ზენა ძალო, როგორ მისწვდება
 შენ ღვთაებას, ქმნილი ბუნება?..

ა. ბაღუკია

განცხალეანი.

„სნობის ფურცალი“

სურათებიანი დამატებით 1906 წელს

გამოვა იმავე ჰრაგანათი,

ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდ უშვებების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატზე **ბადიმბული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მგებლავი მანქანა და ქალაქი. ქალაქი უპვე მოვიდა, ხოლო მსწრაფლ-მგებლავი მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთის .:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაზეთი
 ერთი **ფლით 6 მან.** ერთი თვით **50 კაპ.**
 საზღვარ-გარეთ გაზეთი **ერთი ფლით 11 მან.**
 ერთი თვით **1 მან.**

გაზეთის ხელას მოაქვით გაგზავნათ სურათებიანი დამატება.

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მ. ატვარი ოსკარ შვერლინგისა და გოჯაშვილისა, მხატვრები გრიგოლესკი, ბერიძე და როტერი.

„ნების ფურცლის“ წლიურ ხელისმომწერთ ერთას მასეთის დამატებით გაგზავნათ ამრისტული ჟურნალი **„ნაპერწყაა“**.

ადრახნი: Тифлиси, редакция „Циобის Пурцели“.



ОТКРИТА ПОДПИСКА

на 1906 год НА ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ.“

подъ редакціей П. А. ОПОЧИНИНА

подписная цѣна:

Для городскихъ подписчиковъ. На 12 мѣсяцевъ 7 руб., на 11 мѣс. 6 р. 50 к., на 10 мѣс. 6 р., на 9 мѣс. 5 р. 50 к., на 8 мѣс. 5 р., на 7 мѣс. 4 р. 50 к., на 6 мѣс. 4 р., на 5 мѣс. 3 р. 50 к., на 4 мѣс. 3 р., на 3 мѣс. 2 р. 25 к., на 2 мѣс. 1 р. 50 к., на 1 мѣс. 75 к.

Для иногородныхъ подписчиковъ: На 12 мѣсяцевъ 8 р. 50 к., на 11 мѣс. 8 р., на 10 мѣс. 7 р. 50 к., на 9 мѣс. 7 р., на 8 мѣс. 6 р. 50 к., на 7 мѣс. 6 р., на 6 мѣс. 5 р. 50 к., на 5 мѣс. 5 р., на 4 мѣс. 4 р., на 3 мѣс. 3 р., на 2 мѣс. 2 р. на 1 мѣс. 1 р.

Допускается разсрочка для годовыхъ подписчиковъ.

Для городскихъ. 1-й взносъ при подпискѣ 2 р., 2-й къ 1-му марта 2 р., 3-й къ 1-му мая 2 р., 4-й 1-му юля 1 р.,

Для иногородныхъ. 1-й взносъ при подпискѣ 2 р., 2-й къ 1-му марта 2 р., 3-й къ 1-му мая 2 р., 4-й къ 1-му юля 1 р. 50 к., 5-й къ 1-му сентября 1 р.,

ПОДПИСКА И ОБЪЯВЛЕНІЯ ПРИНИМАЮТСЯ въ конторѣ газеты „Кавказъ“ (Эриванская площадь домъ Харазовой, телефонъ № 182).

Лица и учреждения, находящіяся внѣ г. Тифлиса, плату за подписку и объявления благоволятъ присылать въ контору газеты „Кавказъ“ полностью, безъ вычета за пересылку и съ точнымъ указаніемъ на какой предметъ (за подписку или объявления) высланы деньги.

Правительственные мѣста и должностныя лица, находящіяся въ Тифлисѣ деньги за газету «Кавказъ» и за объявления въ ней могутъ направлять непосредственно въ кантору газеты «Кавказъ».

3—3

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაზიძე,

საქართველო ჟურნალი „ნაბკაღული“

თემატოპიით

მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის. თემატოპიით სწავლება: არა მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის

პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

ფურცელში მონაწილეობას იღებენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო მთავრები.

წელიწადი ითვლება 1-ლ იანვრიდან 1-ლ იანვრამდე.

შარხალის ფასი:

ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამსამი მან.,—ნახევარი წლით ერთად 2 მ. 50 კ. ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ.,—თვეში 40 კაპ.—ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ.

წაიღურ ხელის მამწერთ შეუძლიან თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

რედაქცია იმყოფება ტრულისში, ვოლოდინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

წერილები რამდენჯერაც არ იქნება აღნიშნული სურვალი ჟონორარის მიღებისა, შესუსტებულად იქნება ჩათვლილი.

რედაქტორი მარიამ ივანე ასული დამურაძისი. გამომცემელი თაბ. პაპ. იოსებ. თუმაიშვილი.

2—2

შ ი ნ ა კ რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: რა მდგომარეობაშია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიობის აღდგენის საქმე? დეკ. დ. ლამაზიძის. —მადლობა ღმერთს, ძლივს ვედღირსეთ, სოფლის ზუცესის. —ნამესტნიკის სიტყვა. —საძრახისი თვითნებობა —პასუხი დეკ. დ. ლამაზიძის. —ჩვენი სამღვდლოების საყურადღებოდ. —მწარე ფიქრები, სოფლის ზუცესის. თუნდალ-გაზეთებთან. —ახალი ამბები და შინაშენები.

სწავლა და მცენიერება ქრისტიანობის სარწმუნოებასა და კეთილ-გონიერება: ღმერთი შემოქმედელი და მზრუნველი, ი. ბალუევის. —განცხადებანი.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе

სტამბა ჟურნალის „მწვეთის“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ლამაზიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.